სასწრაფო მოქმედება

სამართალი ჟურნალისტ მზია ამაღლობელისთვის

ცნობილი ქართველი ჟურნალისტი მზია ამაღლობელი 2025 წლის 11 იანვარს ბათუმში გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციას შეუერთდა. ის ორჯერ დააკავეს. ამჟამად ამაღლობელი პატიმრობაში იმყოფება და მას ბათუმის პოლიციის უფროს ირაკლი დგებუაძისთვის სილის გაწვნის ბრალდებით ასამართლებენ. გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებში ნათლად ჩანს, როგორ არღვევს იმ დღეს პოლიცია დემონსტრანტების უფლებებს. ერთ-ერთ ვიდეოში ისმის ირაკლი დგებუაძის მხრიდან ღია და სექსუალური ხასიათის მუქარა მზია ამაღლობელის მიმართ. რამდენიმე ყოფილმა დაკავებულმა დგებუაძეს ბრალი დასდო პოლიციის განყოფილებაში მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. მიუხედავად ამისა, დგებუაძე კვლავ ბათუმის პოლიციას ხელმძღვანელობს, ხოლო მზია ამაღლობელს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება.

იმოქმედე: დაწერე მიმართვა შენი სიტყვებით ან გამოიყენე ეს წერილი ნიმუშად

კოკა კაციტაძეს
სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს
მ. ასათიანის ქუჩა №09,
თბილისი, საქართველო

ბატონო კოკა,

ამ წერილით მოვითხოვ, უზრუნველყოთ სამართალი პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტის მზია ამაღლობელის მიმართ და პასუხისმგებლობა დააკისროთ პოლიციის თანამშრომლებს, კერძოდ, ბათუმის პოლიციის უფროს ირაკლი დგებუაძეს, ბათუმში 11-12 იანვარს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების და სხვა კანონდარღვევის გამო, ასევე დაკავებულთა სავარაუდო წამების და მათ მიმართ სხვა არასათანადო მოპყრობის ბრალდებებთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, მზია ამაღლობელს ასამართლებენ ირაკლი დგებუაძეზე სავარაუდო თავდასხმის ბრალდებით და დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მას პატიმრობა ემუქრება. ვიდეომასალაში ჩანს, რომ მან დგებუაძეს სილა გააწნა. თუმცა ეს ინციდენტი მოხდა ბათუმის ქუჩებში მშვიდობიან დემონსტრანტებზე პოლიციის ძალადობის ფონზე და მას შემდეგ, რაც მზია უკვე ერთხელ უსაფუძვლოდ იქნა დაკავებული. არსებობს ვიდეოკადრები, თუ როგორ აგინებს და

შეურაცხყოფს ჟურნალისტს ირაკლი დგებუაძე. ასევე არსებობს უამრავი ცნობა, რომ პოლიციის განყოფილებაში დგებუაძე დაკავებულ მშვიდობიან დემონსტრანტებზე, მათ შორის მზია ამაღლობელზე, ძალადობდა ან ცდილობდა, მათზე ეძალადა.

შემაშფოთებელია, რომ მოსამართლემ წინასწარი პატიმრობა სწრაფად შეუფარდა მზია ამაღლობელს, დაეთანხმა რა პროკურატურის მტკიცებას, რომ გირაოს შეფარდების შემთხვევაში მზიას შეეძლო მართლმსაჯულებას მიმალოდა, დანაშაული განმეორებით ჩაედინა და გამოძიებაზე ზეგავლენა მოეხდინა. მას არ ჩაუტარდა სათანადო სამედიცინო შემოწმება და არ გაეწია მკურნალობა იმ დაზიანებებზე, რომლებიც, მისი თქმით, პოლიციამ დაკავებისას მიაყენა. სასამართლო პროცესის დროს მოსამართლემ მზიას ადვოკატების 50-მდე შუამდგომლობიდან არცერთი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაცვის მხარის მხოლოდ სამი მოწმე დაკითხა და უარი თქვა ჯვარედინი დაკითხვისთვის იმ პოლიციელების დაბარებაზე, რომელთა ჩვენებებსაც ბრალდება ეყრდნობა. სააპელაციო სასამართლოც იდენტურად მოიქცა, თუმცა დასაშვებად ცნო ფართოდ გავრცელებული ვიდეომასალები, სადაც მზია ამაღლობელი 11 იანვრის აქციაზეა გადაღებული.

ამავე დროს, არც პოლიციის უფროს ირაკლი დგებუაძეს და არც სხვა პოლიციელებს არ შეუჩერდათ უფლებამოსილება მიუხედავად იმისა, რომ მათ წინააღმდეგ ვიდეომტკიცებულება არსებობს და მათ მძიმე დანაშაულების ჩადენაში სდებენ ბრალს. ამ ბრალდებების საფუძველზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ფორმალურად დაიწყო გამოძიება, თუმცა დღემდე არც ეჭვმიტანილი გამოუვლენია, არც დაზარალებულად უცნია რომელიმე მომჩივანი და არც გამოძიების მიმდინარეობაზე გაუკეთებია საჯარო განცხადება. ეს არა მხოლოდ აჭიანურებს სამართალდამცავთა პასუხისმგებლობის დადგენას სავარაუდო ძალადობრივ ქმედებებზე ან აცილებს მათ ამ პასუხისმგებლობას, არამედ ქმნის მკვეთრ კონტრასტს მზია ამაღლობელის სამართლებრივ დევნასთან, რომლის წარმართვის ხასიათი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული საქმეა და მიზნად ისახავს, დასაჯოს ჟურნალისტი იმის გამო, რომ მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის ძალადობას და გაუგზავნოს სიგნალი სხვა დემონსტრანტებს.

მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები, რომ ირაკლი დგებუაძესა და ყველა იმ პოლიციელს, ვინც მშვიდობიანი დემონსტრანტების უსაფუძვლო დაკავებასა და არასათანადო მოპყრობაში მონაწილეობდა, შეუჩერდეს უფლებამოსილება მანამ, სანამ მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, მათ შორის 11-12 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით, არ იქნება სწრაფად, მიუკერძოებლად და ეფექტიანად გამოძიებული და არ დადგება მათი პასუხისმგებლობა დისციპლინური, ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით, საქმის სამართლიან განხილვაზე მათი უფლებების შესაბამისად.

მოვითხოვ, სრულად იქნეს დაცული მზია ამაღლობელისა და ყველა ქართველი დემონსტრანტის უფლებები, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამოხატვის თავისუფლება და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება.

დამატებითი ინფორმაცია

მზია ამაღლობელი, ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და ონლაინგამოცემების „ბათუმელები“ და „ნეტგაზეთი“ თანადამფუძნებელი, 2025 წლის 11 იანვარს ბათუმში მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დროს ორჯერ დააკავეს. პირველად ის შენობაზე სტიკერის გაკვრის მცდელობის გამო დააკავეს, რომელზეც ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოწოდება ეწერა. მასთან ერთად ბევრი სხვა მშვიდობიანი დემონსტრანტიც დააპატიმრეს. გამოშვების შემდეგ მზია კვლავ შეუერთდა მიმდინარე აქციას. მშვიდობიანი დემონსტრანტების მორიგი უსაფუძვლო დაკავებების დროს მას სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა ბათუმის პოლიციის უფროსთან, ირაკლი დგებუაძესთან, რის შედეგადაც მზიამ მას სილა გააწნა. ჟურნალისტი კვლავ დააკავეს. გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ისმის, როგორ ემუქრებიან და აგინებენ მას გაყვანისას ირაკლი დგებუაძე და სხვა პოლიციელები. მოგვიანებით მზია ამაღლობელმა ადვოკატს უთხრა, რომ ირაკლი დგებუაძემ და სხვა პოლიციელებმა მისი სიტყვიერი შეურაცხყოფა პოლიციის შენობაშიც გააგრძელეს, სადაც დგებუაძემ მასზე ფიზიკური ძალადობა სცადა, თუმცა იგი სხვა პოლიციელებმა შეაჩერეს. სამი საათის განმავლობაში მას არ მისცეს ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობას, არ აწვდიდნენ წყალს და არ უშვებდნენ საპირფარეშოში.

მზია ამაღლობელი პატიმრობაში დატოვეს პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 351(1)). 14 იანვარს, მოსამართლემ უარის თქვა გირაოთი მის გათავისუფლებაზე. უფლებების დარღვევის გასაპროტესტებლად მზიამ შიმშილობა დაიწყო, რომელიც 38 დღე გაგრძელდა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს (უწყება, რომელიც პასუხისმგებელია სამართალდამცავთა მხრიდან დანაშაულის გამოძიებაზე) ამ ინციდენტის შესახებ 12 იანვარს ეცნობა, 15 იანვარს კი მზია ამაღლობელმა დეტალური ჩვენება მისცა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ. არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ცნობები, თუ რეალურად როდის დაიწყო ამ სამსახურმა გამოძიება 11-12 იანვარს ბათუმში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით. მზია ამაღლობელის ადვოკატის განცხადებით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გამოძიება 17-18 იანვრამდე არ დაუწყია, სანამ ის ადგილობრივი უფლებადამცველების ზეწოლის ქვეშ არ მოექცა, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში გამოძიების დაწყების თარიღად ძველი რიცხვი, 13 იანვარი მიუთითა. სამმა სხვა დაკავებულმა, მალხაზ ირემაძემ, თემურ ქათამაძემ და გენრი დოლიძემ, რომლებიც ასევე 11 იანვარს ბათუმში დააპატიმრეს, განაცხადა, რომ დაკავებისას ისინი ირაკლი დგებუაძემ და სხვა პოლიციელებმა სცემეს. ამ წერილის მომზადების მომენტისთვის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ გაუკეთებია გამოძიებაში რაიმე წინსვლის შესახებ განცხადება და არც მზია ამაღლობელი ან რომელიმე სხვა მომჩივანი არ უცნია პოლიციის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებში დაზარალებულად.

მზია ამაღლობელის დაკავების დეტალები, პატიმრობაში ყოფნისას მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობა

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მისი დევნის სავარაუდო მოტივაციის თაობაზე და თვალსაჩინოდ აჩვენებს სამართალდამცავთა აშკარა დაუსჯელობას და საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას მზია ამაღლობელისა და სხვა დემონსტრანტების მიმართ. ამ საქმემ უფრო ფართო პრობლემებიც გამოაჩინა - იმ ადამიანთა პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნა, განსხვავებული აზრის ჩახშობა და გენდერული ნიშნით დასჯა, რომლებიც პროტესტის გამოხატვის უფლებას იყენებენ. პოლიციის მაღალჩინოსნების და კონკრეტულად ირაკლი დგებუაძის მხრიდან ამაღლობელის შეურაცხყოფა და მის მიმართ ჩადენილი ძალადობა მისი, როგორც ქალის, დამცირების და დაშინების აშკარა მცდელობაა. მზიას მიმართ ასეთი მოპყრობა არ არის ერთეული შემთხვევა. საქართველოში ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალები, რომლებიც პოლიტიკურ ან საპროტესტო მოძრაობებში მონაწილეობენ და ხელისუფლებას უპირისპირდებიან, განსაკუთრებულად მტრული და დამამცირებელი მოპყრობის სამიზნეები ხდებიან.

ადრესატისთვის მიმართვის სასურველი ენა: ქართული, ინგლისური
შეგიძლიათ დაწეროთ თქვენს მშობლიურ ენაზეც.

გთხოვთ, იმოქმედოთ რაც შეიძლება სწრაფად: 2025 წლის 25 ოქტომბრამდე
ამ ვადის შემდეგ მიმართვის გაგზავნის სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ Amnesty International-ის წარმომადგენლობას თქვენს ქვეყანაში.

სახელი და გვარი: მზია ამაღლობელი